

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №5 მაისი 2015 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

ამაღლება უფლისა იესო ქრისტესი (21 მაისი)

თავისი ვნების შემდეგ იესო ქრისტე ხშირად ეჩვენებოდა მოწაფეებს და ღვთის სასუფეველის შესახებ ესაუბრებოდა მათ. უკანასკნელად კი აღდგომის მეორმეოცე დღეს გამოეცხადა მოციქულებს და უბრძანა, არსად წასულიყვნენ იერუსალიმიდან, რადგან თუ იოანე ნათლავდა წყლით, მოციქულები არამრავალი დღის შემდეგ სულიწმიდით უნდა მონათლულიყვნენ. მოწაფეებს აინტერესებდათ, თუ როდის აღუდგენდა უფალი ისრაელს სამეფოს. იესომ აუხსნა, რომ დღეთა და წელთა ცოდნა, რომელიც მამა ღმერთმა დააგინა, არ იყო მათი საქმე. მიიღებდნენ რა განსაკუთრებულ ძალას მოციქულები, როცა სულიწმიდა გადავიდოდა მათზე, ისინი უნდა გამხდარიყვნენ ქრისტეს მოწმენი მთელს იუდეა და სამარიაში ქვეყნის დასასრულამდე.

დაასრულა თავისი სათქმელი და იესო მათ თვალწინ ამაღლდა და ღრუბლებს მოეფარა. მოწაფეები ცას შეჰყურებდნენ, როცა ორი კაცი გამოცხადდა თეთრი სამოსით და აუწყა მათ, რომ ზეცად აღმავალი უფლის მხილველნი უფლის ხელმეორედ მოსვლასაც იხილავდნენ თავის დროზე.

„კაცნო გალილეველნო, რაისა სდგათ და ჰხედავთ ზეცად? ესე ისუ, რომელი ამაღლდა თქვენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“ (საქმე მოციქულთა 1, 11).

31 მაისი — სულიწმიდის გარდამოსვლა — სულთმოფენობა

როგორც დაარიგა უფალმა, მოციქულებმა არ დატოვეს იერუსალიმი და გაძლიერებული ლოცვითა და მარხვით ემზადებოდნენ სულიწმიდის მისაღებად. ამაღლებიდან მეათე დღეს ძლიერი გრიგალის ხმამ აავსო სახლი, სადაც მოციქულები იმყოფებოდნენ და მოევლინა მათ ალივით გაყოფილი ენები, რომლებიც დაეფინა თითოეულ მათგანს. აღივსნენ ყველანი სულიწმიდით და სხვადასხვა ენებზე ამეტყველდნენ იქ მყოფნი: პონტოელნი, კაბადუკიელნი, რომაელნი, ეგვიპტელნი, არაბნი და სხვანი, ძლიერ გაკვირდნენ, როცა უბრალო მეთევზენი უცხო ენებზე ალაპარაკდნენ. მოციქულმა პეტრემ მათ გაახსენა იოველ წინასწარმეტყველის მიერ თქმული: **„და იყოს უკანასკნელთა დღეთა, — იტყვის უფალო ღმერთო, — მივჰფინო სულსაგან ჩემისა ყოველთა ზედა ხორციელსა და წინასწარმეტყველებდნენ ძენი თქუენნი და ასულნი თქუენნი და ჭაბუკნი თქუენნი ხილვასა იხილვიდნენ და მოხუცებულთა თქუენთა ჩუენებით განვეცხადო, და მონათა ჩემთა ზედა მათ დღეთა შინა მოვჰფინო სულისაგან ჩემისა და წინაისწარმეტყველებდნენ“.**

იმ დღეს ათასობით კაცმა იწამა ქრისტეს რჯული.

წმიდა, დიდებული, დიდმოწამე, ძლევაშემოსილი და საკვირველმოქმედი გიორგი (23 აპრილი, 6 მაისი)

წმიდა გიორგი მე-3 საუკუნის მეორე ნახევარში დაიბადა კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში. მამამისი მოწამეობრივად აღესრულა.

კერპთაყვანისმცემელმა რომის იმპერატორმა თავისი გამგებლობის ბოლო წლებში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანობას. წმიდა გიორგი სენატში გამოცხადდა, საჯაროდ აღიარა ქრისტიანობა და ყველა იქ მყოფთაც მოუწოდა, მიეღოთ ეს ჭეშმარიტი სარწმუნოება: **„მე მონა ვარ ქრისტესი, ღმრთისა ჩემისა და მსასოებელი მისი. საკუთარი ნებით წარვმდგარვარ თქვენს წინაშე, რათა ვეწამო ჭეშმარიტებისათვის“.** — „რა არის ჭეშმარიტება?“ — ჰკითხა ერთ-ერთმა წარჩინებულმა. — „თავად ქრისტეა ჭეშმარიტება, თქვენს მიერ დევნილი“, — იყო პასუხი.

თავისი საყვარელი მხედართმთავრის ამ კადნიერი სიტყვით თავზარდაცემულმა დიოკლეტიანემ სცადა დაერწმუნებინა იგი, განდგომოდა ქრისტეს და მსხვერპლი შეეწირა კერპებისათვის. წმიდა აღმსარებელმა მტკიცედ მიუგო: **„ვერავითარი ამსოფლიური დიდება ვერ შეანელებს ჩემს სურვილს, ვემსახურო ჭეშმარიტ ღმერთს“.** განრისხებული მბრანებლის განკარგულებით მეომრები შეეცადნენ, შუბის კერით გაეყვანათ იგი დარბაზიდან, მაგრამ წმინდანის სხეულზე შეხებისას რკინა რბილდებოდა და იღრიკებოდა. საჰერობლელში მას ფეხებზე ხუნდები, მკერდზე კი დიდი ლოდი დაადეს და დილამდე ასე ამყოფეს. წმინდანის არაერთგზის წამების დროს იმდენი სასწაული ხდებოდა, რომ მისმა მნახველმა უამრავმა ადამიანმა ირწმუნა ქრისტე.

303 წლის (23 აპრილს) 6 მაისს, პარასკევ დღეს ის მახვილით მოკლეს.

წმიდა და ყოვლადძეგული მოციქული ანდრია პირველწოდებული, საქართველოში ქრისტეს პირველ მქადაგებელი (12 მაისი)

წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული მოციქულთაგან პირველი შეუდგა ქრისტეს. ანდრია ბეთსაიდაში დაიბადა. მან სიყრმიდანვე შეიყვარა უფალი, ჭეშმარიტ სწავლებას ეძიებდა და როცა ისრაელში ქუხილივით გაისმა წმიდა წინასწარმეტყველის, წინამორბედისა და ნათლისმცემლის, იოანეს ხმა, ნეტარი მოციქული მისი უახლოესი მოწაფე გახდა. იესოს გამოჩენისას წმიდა იოანემ ანდრიას და იოანე ღვთისმეტყველს მიმართა: **„აჰა, ტარიგი ღმრთისაჲ“.** ამ სიტყვებზე ორივენი თან გაჰყვნენ მაცხოვარს და **„მის თანა დაადგრეს მას დღესა შინა“.**

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, **„რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა“**, ღვთისმშობელს საქართველოს მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ რადგანაც მისი მიცვალების ჟამი მოახლებული იყო, ძე ღვთისამ უბრძანა, იერუსალიმში დარჩენილიყო, საქართველოში კი ანდრია პირველწოდებული გაეგზავნა თავისი ხელთუქმნელი ხატით ხელში. ყოვლადწმიდა ქალწულმა მოუწოდა წმიდანს და ღვთის ნება აუწყა, შემდეგ ფიცარი მოითხოვა: **„დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვისა“**. ფიცარზე ღვთისმშობელი გამოისახა ყრმა იესოთი.

უფლის მოციქული პირველად ქართლის ტერიტორიაზე, დიდაჭარაში შემოვიდა. უფლის რჩეული თავისი მქადაგებლური მოღვაწეობის დროს მრავალ ჭირსა და განსაცდელს ითმენდა. მისი მეოხებით მრავალი სასწაული აღესრულა.

უკანასკნელი ქალაქი, სადაც მან იქადაგა, იყო პეტრები (საბერძნეთში). წმიდა ანდრიამ არაერთხელ უქადაგა ქალაქის თავს ღვთის სიტყვა, მაგრამ ამაოდ. წმიდა ანდრია პირველწოდებული საბერძნეთის ქალაქ პეტრაში ჯვარზე დაკიდებული აღესრულა.

აღმოყვანება პატიოსანთა ნაწილთა წმიდისა ნიკოლოზ საკვირველმოქმედისა მირონიდან ქალაქ ბარში — 9 (22 მაისი)



წმიდა ნიკოლოზი მშვიდობით მიიცვალა 345-351 წლებში. მისი მირონმდინარე წმიდა ნაწილები დიდხანს ქ. მირონის საკათედრო ტაძარში იყო დაბრძანებული და მასთან მრავალი სასწაულებრივი კურნება აღესრულებოდა.

XI საუკუნეში საბერძნეთის იმპერიას მძიმე ჟამი დაუდგა. თურქებმა დაარბიეს მისი სამფლობელოები მცირე აზიაში, შეურაცხყვეს წმიდა ტაძრები, წმიდანთა ნაწილები, ხატები, მოსრეს მოსახლეობა. მაჰმადიანები ცდილობდნენ, გაენადგურებინათ ქრისტიანთაგან პატივდებული ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ნაწილებიც.

წმიდანის ნაწილები გადასვენებული იქნა ქალაქ ბარში, 9 მაისს კი წმიდანის მირონმდინარი ნაწილები ზეიმით გადაასვენეს წმიდა სტეფანეს სახელობის ტაძარში. ნაწილთა გადასვენებისას მრავალი სასწაულებრივი კურნება მოხდა. ერთი წლის შემდეგ აშენდა წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, რომელიც აკურთხა პაპმა ურბან II-მ.

სიწმინდეების წაბილწვამ აღაშფოთა არა მარტო აღმოსავლელი, არამედ დასავლელი ქრისტიანებიც. ადრიატიკის ზღვის ნაპირზე მდებარე ქალაქ ბარის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს წმიდანის ნაწილთა გამოხსნა.

1087 წელს ბარელი და ვენეციელი ვაჭრები ანტიოქიაში გაემგზავრნენ სავაჭროდ. მათ სურდათ მობრუნებულზე იტალიაში წაესვენებინათ წმიდანის ნეშტი. მირონლუკაობა პირველები ჩავიდნენ ბარელები. ეკლესიაში, სადაც დასვენებული იყო უდიდესი სიწმინდე, მხოლოდ ოთხი ბერი ლოცულობდა. შეიარაღებული 47 კაცი გაემგზავრა წმიდა ნიკოლოზის ტაძრისკენ. ვაჭრებმა ბერებს თავიანთი გადაწყვეტილება განუცხადეს და სამასი ოქროს მონეტა შესთავაზეს წმიდანის ნაიწლების გამოსასყიდად. დარაჯებმა ფულზე უარი განაცხადეს და თანამოქალაქეების გასაფრთხილებლად გაიქცნენ, მაგრამ ბარელებმა კარებთან დაიჭირეს ისინი, შეკრეს და ფიცარნაგი დაანგრიეს, რომლის ქვეშაც სამარხი იყო. ბარელებმა ნახეს, რომ სარკოფაგი კეთილსურნელოვანი მირონით იყო სავსე.

ეს მოხდა 1087 წლის 20 მაისს.

როგორ ვიცხოვროთ

„არჩევანის უფლება იმიტომ გვეძლევა, რომ კეთილის არჩევა შევძლოთ“

კაცთა მოდგმიდან არავინ შობილა, არჩევანის წინაშე რომ არ მდგარიყოს. მაგრამ უმთავრესია სათნოვეყოთ უზენაესს, რომელმაც ხატად თვისად და თავისუფალ არსებად შეგვქმნა, ჩვენზეა დამოკიდებული თუ ბოროტებასა და ჯოჯოხეთს ავირჩევთ.

იმის მიუხედავად, რომ ღვთის სიტყვა გვეუწყა, სჯული მოგვეცა, მარადისობამ შინაგანადაც დაგვბეჭდა უხილავი და მოუსყიდველი სინდისის ბეჭედი, მაინც გვიჭირს გადაწყვეტილების მიღება, სულის მაცხოვნებელი არჩევანის გაკეთება, უფრო მეტად კი არჩეულის ერთგულება... საკუთარ თავთან და წუთისოფლის ამდენ ცდუნებასთან ბრძოლა ხომ ხშირად მოწამეობის ტოლფასია.

არჩევანის უფლებაზე გვესაუბრება წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის მოძღვარი იღუმენი ეგნატე ჯიჯინაძე.

მამა ეგნატე, რატომ გვეძლევა არჩევანის უფლება?

არჩევანის უფლება გვაძლევს საშუალებას, სიყვარული გამოვხატოთ ღმრთის მიმართ.

რა შეიძლება ითქვას თავისუფალი ნების შესახებ?

თავისუფალი ნება უდიდესი ნიჭია ადამიანში ღმერთისაგან ბოძებული, ამ ნიჭით ემსგავსება ადამიანი ღმერთს.

26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის დღე



საქართველოს ეროვნული დღესასწაული, რომელიც აღინიშნება ყოველი წლის 26 მაისს, ნიშნად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა რუსეთის იმპერიისაგან და სსრკ-სგან.

მამაო, რა შეიძლება ითქვას ადამიანის არჩევანზე?

ადამიანი ღმერთსა და ეშმაკს შორის აკეთებს არჩევანს. ხე ნაყოფით იცნობა. აქედან გამომდინარე, ადამიანის ცხოვრებიდან ჩანს, კეთილს აირჩევს თუ ბოროტს.

რა უნდა განსაზღვრავდეს სწორ არჩევანს?

სწორი არჩევანი სიყვარულით კეთდება, როდესაც აიძულებ და უარყოფ თავს, აიღებ ჯვარს და შეუდგები ქრისტეს.

როგორ უნდა მივხვდეთ, რომ სწორ არჩევანს ვაკეთებთ?

მთავარია სიწმინდეს ვირჩევდეთ და ვიცავდეთ საკუთარ თავში და ცოდვას ვეწინააღმდეგებოდეთ, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ სწორ არჩევანს ვაკეთებთ.

მამაო, ზოგი ბუნებით არის მიდრეკილი სიკეთისაკენ და სწორი არჩევანის გაკეთება და ღვთივსათნოდ ცხოვრება სხვებთან შედარებით ეადვილება, მაგრამ სხვებს სულ მცირე სათნოების მოსახვეჭადაც კი დიდი ძალისხმევა და ბრძოლა უწევს საკუთარ თავთან.

ორივე შემთხვევაში ბრძოლაა საჭირო: ერთმა უნდა შეინარჩუნოს, მეორემ უნდა მოიპოვოს. თუკი ვინმეს რომელიმე სათნოება მოუპოვებია, ეს ღმრთის განსაკუთრებული წყალობაა და ვისაც სურს, რომ სათნოებით იყოს შემკული, მაგრამ ფიქრობს, რომ ეს მისთვის მიუწვდომელი ან შეუძლებელია, უნდა გავიხსენოთ უფლის სიტყვები: კაცთათვის შეუძლებელი, შესაძლებელია ღმრთის მიერ.

არჩევანის გაკეთებისას რა განსაცდელები ეძლევა ადამიანს ან როგორ დავიცვათ თავი მათგან?

სიკეთის მოძულე ბოროტი სული აუცილებლად შეეცდება ადამიანის კეთილ აზრს თუ არჩევანს შეეწინააღმდეგოს. თუკი დარწმუნებული ვართ, რომ სწორ და ღმრთისთვის სათნო არჩევანს ვაკეთებთ, მაშინ სიმტკიცე უნდა გამოვიჩინოთ და ამით ბოროტი მოუძლურდება.

საჭიროა ზომიერება იქ, სადაც არჩევანი კეთდება?

ზომიერება ყველაფერში აუცილებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში ალბათ უფრო მეტად დაკვირვებაა საჭირო, ჩვენი არჩევანი სათნოა თუ არა ღმრთისათვის.

რამდენადაც მატერიალურ სამყაროში ვცხოვრობთ და ხორცში ვიმყოფებით, უამრავი სხვადასხვა (პოლიტიკური, ყოფითი, და ა. შ.) არჩევანის უფლება გვიწევს... როგორ ავირჩიოთ მოძღვარი, ხელისუფლება, მეგობარი, მეუღლე და ა. შ.?

კარგი იქნებოდა ისეთი სულიერებით გვეცხოვრა, რომ ამქვეყნიური საზრუნავები და ყოფითი პრობლემები არ მოქმედებდეს ჩვენზე, მაგრამ როცა ყველაფერზე არჩევანის გაკეთება გვიწევს, აუცილებლად ლოცვით უნდა მივმართოთ უფალს, როემლმაც სანამ ვთხოვთ, მანამდე იცის ჩვენ რა გვჭირდება.

რაც შეეხება მოძღვრის არჩევას, მე ვფიქრობ, ისეთი გულმოდგინებით და სიყვარულით უნდა ცხოვრობდე ადამიანი დედა ეკლესიის წიაღში, რომ მოძღვარმა თვითონ უნდა აგირჩიოს სულიერ შვილად. ხოლო ხელისუფლებას, მეგობარს, მეუღლეს და ა. შ. ადამიანი ისეთს ირჩევს, როგორიც თვითონაა სულიერებით და შეგნებით.

არსებობს რაღაც, რასაც ვერ ავირჩევთ, მაგალითად, ეროვნებას, შვილებს, მშობლებს, სქესს და გარეგნობას. თუმცა ბოლო დროს არც გარეგნობის შეცვლაა შეუძლებელი და არც სქესის.

ეს ისეთი საკითხია, რომელსაც მორწმუნე ადამიანი ფიქრშიდაც კი არ უნდა უშვებდეს. ეს უკიდურესი უმადურობაა ღმრთის წინაშე და შემოქმედის უარყოფაა. უფალი ამბობს: ყველა ცოდვა მიეტევება ადამიანს, სულიწმინდის გმობის გარდაო! და ვინ გმობს სულიწმინდას თუ არა ის, ვინც უარყოფს შემოქმედს.

ივნისის თვის საეკლესიო კალენდარი

1 — სამებობა; ნინოობა (წმ. ნინოს შემოსვლა საქართველოში)

2 — ხს. ღირსთა ზაბულონისა და სოსანასი — წმ. ნინოს მშობელთა.

6 — ხს. ღირ. სვიმეონ მესტვირისა (596)

7 — ყოველთა წმიდათა კვირა (I კვირა სულიწმიდის გარდამოსვლიდან, წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნა (დაახ. 850)

21 — ხს. მოწ. თევდორე მღვდელისა. დიდმოწამე თეოდორე სტრატილატისა.

22 — ხს. ღირსი იოანე შავთელ-გაენათელისა (XIII ს.)

27 — ხს. წინასწარმეტყველი ელისესი.

30 — ხს. მოწამისა შალვა ახალციხელისა (1227)

მერვე გამოშვების ბოლო ზარი გიმნაზიაში

წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში კიდევ ერთხელ აწკრიალდა ბოლო ზარი. გიმნაზიამ საზეიმო კონცერტით გააცილა მე-8 კურსდამთავრებულები.

ბოლო ზარი — მშობლიურ გიმნაზიასთან გამოთხოვების ამაღელვებელ წუთებში ისმოდა მისასალმებელი სიტყვები, ლექსები, სიმღერები.

ჩვენთვის, გიმნაზიის მე-11 კლასის მოსწავლეებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო მე-12 კლასთან გამოთხოვება. ჩვენ ხომ რიგში ჩავდექით, მომავალ წელს ჩვენ დავემშვიდობებით საყვარელი გიმნაზიის კედლებს, მუდამ ჩვენზე მზრუნველ მეუფე იეგუდიელს, პედაგოგ-მასწავლებლებს, გიმნაზიის მესვეურებსა და ჩვენ საყვარელ უმცროს მეგობრებს. მე-11 კლასის მოსწავლეებმა მცირედი საჩუქრით მივულოცეთ მათ სკოლის დამთავრება, ვუსურვეთ გამოცდების წარმატებით ჩატარება. მათ ცხოვრების ერთი ეტაპი დაამთავრეს და ახლა უფრო მნიშვნელოვან გზას დაადგნენ და ჩემი კლასის სახელით მინდა ამ ეტაპზე მათ წინსვლა და წარმატებები ვუსურვო. და არა მარტო მათ, მთელი ხევის დამამთავრებელ კლასებს გვინდა მივულოცოთ ეს მნიშვნელოვანი მოვლენა და ცხოვრების დიდ გზაზე ვუსურვოთ შემდგომი წარმატებები.

თეა ალიბეგაშვილი
XI კლასის მოსწავლე

მადლობა უანგარო დახმარებისათვის

სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსი იეგუდიელი და წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია მადლობას ვუხდით დარიალჰესის ფირმა „ფერის“ ხელმძღვანელობას, გენერალურ დირექტორს ბატონ სოსო მჭედლიშვილს და მშენებლობის მენეჯერს ბატონ სულხან გაბრიჩიძეს, გიმნაზიის ტერიტორიაზე ჩატარებული სამუშაოებისათვის. მძიმე ტექნიკის საშუალებით მოიჭრა მიწის ნაკვეთები, რომლებზეც უნდა გაკეთდეს სპორტული მოედნები. აღნიშნული სპორტული მოედნებით სარგებლობას შეძლებენ არამარტო გიმნაზიის მოსწავლეები, არამედ რაიონის ახალგაზრდობაც, ამდენად შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის საშვილიშვილო საქმე.

კიდევ ერთხელ გმადლობთ ამ უანგარო დახმარებისათვის.

სტეფანწმინდისა და ხევის
მთავარეპისკოპოსი იეგუდიელი

რატომ უჭირთ მოსწავლეებს პროფესიის არჩევა?

პროფესიაა საქმიანობა, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა აკეთო, გამოგდიოდეს და გიყვარდეს. მოზარდმა არჩევანი მარტივად არ უნდა გააკეთოს. პროფესიის არჩევას ხშირად შთაგონებაც განაპირობებს. ხშირად კი პროფესიას მშობლები ურჩევენ ბავშვებს, და ასეთი არჩევანი შეიძლება მოზარდისათვის არ იყოს მისაღები და მაშინ ის მთელი ცხოვრება დაიტანჯება და ვერ ჩამოყალიბდება ნამდვილ პროფესიონალად. მთავარი ის არაა, ვინ იქნები, არამედ — როგორი. ასევე უნდა დაფიქრდე, შემოსავლიანია თუ არა ეს პროფესია. შეიძლება უბრალო მუშა იყოს და უყვარდეს თავისი საქმე და მეტი სარგებლობა მოუტანოს თავის ოჯახსაც და თავის სამშობლოსაც, ვიდრე იყოს უსარგებლო ეკონომისტი.

წარმატების მიღწევა ბევრად მარტივი და სასიამოვნოა, როცა შენი საქმე გიყვარს და შეგიძლია.

ყველაზე უტყუარი გარანტი მოტივაციაა და წარმატებაც მაშინ მიიღწევა, როცა ყველა იმას გააკეთებს, რაც უნდა და გამოსდის.

მარიამ ბედოშვილი
IX კლასი

კალიგრაფიის კონკურსი ძველ ქართულ დამწერლობაში

15 მაისს სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი ძველ ქართულ დამწერლობაში. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს V, VI, VII კლასის მოსწავლეებმა. გამოვავლინეთ საუკეთესო კალიგრაფი მრგვლოვანშიც და ნუსხურ დამწერლობაშიც. დამწერლობის ორივე სახეობაში პირველი ადგილი დაიმსახურა VI კლასის მოსწავლემ მარიამ სუჯაშვილმა. ნუსხურ დამწერლობაში მეორე ადგილზე გავიდა VI კლასის მოსწავლე ლუკა მაისურაძე, მესამე ადგილი დაიმკვიდრა VII კლასის მოსწავლემ თორნიკე სუჯაშვილმა. მრგვლოვან დამწერლობაში მეორე ადგილი დაიმსახურა VII კლასის მოსწავლემ ნათია სამქანაშვილმა, მესამე — V კლასის მოსწავლემ თამარ ქუშაშვილმა.

მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კონკურენტული სწავლება. ჩემი დაკვირვებით, გაჩნდა მეტი სურვილი მეცადინეობისა.

მაკა ქავთარაშვილი

ქართული ენისა
და ლიტერატურის
მასწავლებელი

რა სპეციალობა ავირჩიოთ?

სპეციალობის არჩევა ადვილი საქმე როდია. ღღევანდელ ახალგაზრდებში ეს აქტუალურ თემად იქცა. გასულ წლებში ეს პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან თუ გქონდა უმაღლესი განათლება და იყავი შრომისმოყვარე, არ დაიკარგებოდი. ახლა საქმე სხვანაირადაა, ახლა კითხვაზე, რა სპეციალობა ავირჩიო, ახალგაზრდას ებადება კითხვა, მექნება კი სამუშაო? ამიტომ მატულობს საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ადამიანი თუ მოინდომებს, შეძლებს დაეუფლოს საყვარელ პროფესიას, მიზანს რომ დაისახავ, არ უნდა გადაუხვიო, და თუ ეს საქმე შენ შეგეფერება და გიყვარს, აუცილებლად მიაღწევ საწადელს და გახდები კარგი სპეციალისტი, რომელიც შენც გამოგადგება და შენს ქვეყანასაც.

დავით ოდიშვილი
VII კლასის მოსწავლე

აპრილის თვის გაზეთში სტატია სათაურით „სიკეთე უსასრულოა“ შეცდომით დაიბეჭდა ავტორის სახელი და გვარი (ნინო ბადაშვილი). უნდა იყოს მარიამ წიკლაური — VIII კლისს მოსწავლე. მკითხველს ვუხდით ბოდიშს.

ანბანის გაცილება

წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში ყოველ წელს ტარდება „ანბანის გაცილების“ ზეიმი. პირველკლასელები, რომელთაც უკვე ისწავლეს კითხვა, საზეიმოდ, ლექსებითა და ცეკვა-სიმღერებით კიდევ ერთხელ ადიდებენ ხოლმე დედა ენას.

წელსაც, 13 მაისს პირველი კლასის მასწავლებელმა ნინო ღუდუშაურმა საზეიმო საღამოზე თავის კლასს მიულოცა ეს დღესასწაული, გაიხსენა წლის განმავლობაში მომხდარი კურიოზები.

მოსწავლეების ლუკა სუჯაშვილის, გაბრიელ მგელაძის, მაგდა ქუშაშვილის, ვაჟიკო ღუდუშაურის, მარიამ გელაზადეშვილისა და დათო ფიცხელაურის სიმღერებს და ლექსებს ლეიტმოტივად გასდევდა ენის, მამულის, სარწმუნოების სიყვარული. ღონისძიებას ესწრებოდნენ მეუფე იეგუდიელი, არქიმანდრიტი ნიკოლოზი, მოსწავლეები.

ზეიმზე მასწავლებელმა ნინო ღუდუშაურმა და მოსწავლეებმა, გიმნაზიის IV კლასის მასწავლებელს მაია ფიცხელაურს მიულოცეს დაბადების დღე და გადასცეს ყვავილები.

მარიამ ბედოშვილი
IX კლასი

შეჯიბრი კლდეზე ცოცვაში

საქართველოს რეგიონებს შორის ყაზბეგი გამორჩეულია მთა-კლდვანი მდებარეობით. კლდეზე ცოცვაში მოხვეევებს უძველესი ტრადიცია აქვთ. მარტო მყინვარის ცქერა რად ღირს, თითქოს გიზიდავს თავისკენ. ჩემი წინაპარია მთამსვლელი იაგორ კაზალიკაშვილი, რომელმაც არაერთხელ დალაშქრა მყინვარი. ჩემ ორივე პაპასაც უყვარდა მთებში სიარული, გამორჩეული მონადირეებიც იყვნენ. მეც გამიჩნდა სურვილი მათნაირი ვიყო.

ძალიან დამაინტერესა კლდეზე ცოცვის სპორტმა, მართლაც შევედი ამ სპორტზე, პირველად ვნახე ხელოვნური კლდე და დავიწყე ვარჯიში. მალევე მონაწილეობა მივიღე შეჯიბრში, რომელიც ჩატარდა ლენტეხში, მაგრამ ვარჯიში ახლადდაწყებული მქონდა და იმედგაცრუებული დავბრუნდი. კიდევ უფრო მეტი მონდომებით დავიწყე ვარჯიში. მაისში მონაწილეობა მივიღე 14 წლამდელთა ფესტივალზე. ჩემს წლოვანებაში, რთულ ცოცვაში საქართველოს მასშტაბით მესამე ადგილზე გავედი. დამაჯილდოვეს მედლითა და დიპლომით. ავიღე პრიზებიც. არ ვარ კმაყოფილი, ბევრი უნდა ვივარჯიშო, რომ მივაღწიო სასურველ შედეგს. მინდა ვასახელო ხევი და ჩემი მშობლიური გიმნაზია.

ანა კაზალიკაშვილი
გიმნაზიის V კლასის მოსწავლე

ფოტოკონკურსისათვის

წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის მოსწავლეებმა საერთაშორისო პროექტში Le-MATH ვუერთდებით ევროპას მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია გამოამჟღავნეს და დაემსახურეს ეს დიპლომი.

მასწავლებელი ნაზი ჩოფიკაშვილი.

ყველაზე ჭკვიანი

გიმნაიზის 3-4 კლასის მოსწავლეებს შორის 14 მაისს ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „ყველაზე ჭკვიანი“.

ჟიურის წევრები აფასებდნენ მოსწავლეების ინტელექტუალურ დონეს. როგორც ყოველთვის, მოსწავლეების აქტიურობა მაღალი იყო. შესვენების დროს მოსწავლეებმა მხატვრულად წაიკითხეს ლექსები.

II ტურში გადავიდა 4 მოსწავლე, ნიკოლოზ ქუშაშვილი, ლალი ბურდული, ხატია ხუციშვილი და ნიკოლოზ გელაშვილი. გამარჯვებული მოსწავლეები უკვე კატეგორიებს ირჩევდნენ.

II ტურის შედეგების მხედვით I ადგილზე 36 ქულით გავიდა ნიკოლოზ ქუშაშვილი, მეორე ადგილზე — ნიკოლოზ გელაშვილი, III ადგილზე — ლალი ბურდული, მეოთხე ადგილი კი ერგო ხატია ხუციშვილს.

გამარჯვებულებს გადაეცათ საჩუქრები.

თამუნა ქუშაშვილი
V კლასი

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, ნატო ფიკლაური, უჩა ხუციშვილი.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი